K 283
K 1a

ბორბალი

საქართველოში

1. გადარეული
2. გადარეული საქართველოში
3. როგორ გადვირეე
4. გადარეული ბორჯომში
5. ახალი ბუხგალტერია
6. იოსკა
7. რკინისგზელის სიყვარული
8. სიტყვა და საქმე
9. თვითკრიტიკა
10. გოგია და ივანიკა

№ ფარფატრიზის ბიბლიოთეკა I

გაღარეული

გაღარეული საქართველოები

ს. თოდრიას და ონისიმეს წინასიტყვაობით.

„ტარტაროზის“ ბიბლიოთეკა

ტფილისი

1928

მთავლიტ. № 1790. ტირაჟი 5000.

პოლიგრაფტრ. სტამბა, კამოს ქ. № 68.

წინასიტყვაობა

ქართულ იუმორისტულ მცირე-რიცხოვან ოჯახს კიდევ შეემატა ერთი წევრი.

ამ წიგნის ავტორი, „გადარეული“, მართალია, ჯერ გაუბედავათ, ფსევდონიმ ამოფარებული გამოდის იუმორისტულ ასპარეზზე, მაგრამ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ მორცხვ მის პირველ ნაბიჯს, შემდეგში მოყვება უფრო გაბედული ნაბიჯები იუმორისტულ სარბიელზე.

აქვე უნდა აღვნიშნო ერთი საყურადღებო მოვლენა: იუმორისტულ ნაწარმოების ავტორის ფსევდონიმის ამოფარება დამახასიათებელია იმ მხრივ, რომ ჩვენს ლიტერატურაში იუმორს დღემდე კიდევ ვერ დაუკავებია შესაფერი ადგილი. ის არ ითვლება ისეთ საპატიო ლიტერატურულ დარგათ, როგორიც არის პოეზია, ან პროზა.

მაგრამ თვით „გადარეულის“ დაუღალავი ენერგიით, საქართველოს გასაბჭოების პირველივე წლებიდან დაწყებული, ლიტერატურის ეს დარგი ჩქარი ნაბიჯით მიდის წინ განვითარების გზაზე.

მან პირველმა შეეცადა, ჯერ კიდევ 1921 წელში, „ყუმბარაში“, შემდეგ „ნიანგში“ და სხ. თავი მოეყარა იუმორისტულ ძალებისთვის. ამ ცდას უნაყოფოდ არ ჩაუვ-

ლია. უკვე რამდენიმე ქართული იუმორისტული წიგნები გამოვიდენ ამ უკანასკნელ ხანებში წიგნის ბაზარზე.

ჩვენ დღეს გარდამავალ ხანაში ვცხოვრობთ. ახალსა და ძველს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გაჩაღებული. ამ ბრძოლაში იუმორისტის მახვილ კალამს, მის ბასრ დამცინავ კილოს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. „გადარეულმა“, როგორც მგრძნობიარე მგოსანმა, ხანას დროულათ აუღო ალღო და კალამი მომართა ყოველივე „ყბად ასაღები—წყალ წასაღები“ მოვლენების დასაცინავათ.

დღეს ცხოვრება დულს და გადმოდულს. ეხლა ერთ წელიწადს აქვს წინანდელი საუკუნის მნიშვნელობა.

შეიძლება დღეს მკითხველისთვის გაუგებარი იყოს ის, რასაც იუმორისტი ეხებოდა რამდენიმე წლის წინათ. მაგრამ წარსულის მეხსიერებაში აღდგენა, და ისიც იუმორისტული განსახიერებით, არასდროს არ კარგავს ხალისს.

ამ წიგნში თავმოყრილი ნაწარმოებები გაბნეული იყო სხვადასხვა გამოცემებში და „ტარტაროზის“ მიერ მათი თავის მოყრას და ცალკე ბიბლიოთეკათ გამოცემას მადლიერათ უნდა შევხვდეთ.

ს. თოდრია.

ჩ ე მ ი ა ზ რ ი

საბჭოთა იუმორი არ არის ადვილი საქმე. თუ ეწინ იუმორისტს უმეტეს შემთხვევაში ცხოვრების ყალბი მესვეურები, ბედით განებივრებული, უბრალო ხალხზე ამაღლებული პიროვნებები და მათი „საქმიანობა“ ქონდა ნიშანში ამოღებული, დღევნადელ პირობებში, როცა ცხოვრების ხელმძღვანელებათ, მუშები და გლეხებია გამოსუსული, როცა ამხ. ლენინის მშვენიერი თქმით—დღეს მზარეული ქალიც კი უნდა განაგებდეს სახელმწიფოს—ასეთი „ველური“ მიდგომა მესვეურებისადმი უკვე დაუშვებელია. დღეს ბოროტი ხასიათის შეცდომებზე ლაპარაკი ნაკლებათ არის შესაძლებელი, რადგან ესა თუ ის უნებლიე შეცდომა ჩვენს საერთო უბედურებას უფრო წარმოადგენს ვიდრე ბოროტ დანაშაულს, ბოროტად დასაცინარ დასაძრახ შემთხვევას.

ეს გარემოება ავალებს საბჭოთა იუმორისტს დიდ სიფრთხილესა და წინ დახედულობას, რათა უნებლიეთ არ ჩავარდეს დღევანდელი აღმშენებლობისათვის დათვური სამსახურის გამწევ მეუდაბნოეს როლში.

გარდა ამისა დღევანდელი იუმორი მოითხოვს, განსაკუთრებულ მიდგომასთან ერთად განსაკუთრებულ ფორმასა და ხახეს, განსაკუთრებულ სტილს.. სენსაციებითა და

განსაკუთრებულ გამოყენებულ მასალისათვის განზრახ გამოგონილ ქარაგმებით დღეს ვერავის დააკმაყოფილებთ. ჭეთილ ინებეთ და სწერეთ ისე, როგორც ეს შეეფერება დღევანდელ გეგმა-შეზომილ, მიზან-შეწონილ და ნაღდ ალმშენებლობას.

ყოველივე ამას არ შეიძლება არ გრძნობდეს და მისგან მთელი პასუხისმგებლობის სიმძიმეს არ განიცდიდეს ამხ. გადარეული, როგორც ერთ-ერთი პასუხისმგებელი ამ დღევანდლობისა გამო. ფსევდონიმი „გადარეული“ ამ პასუხისმგებლობისაგან კი არ ანთავისუფლებს მას, არამედ მხოლოთ უმსუბუქებს მას, როგორც ადამიანს, ამ სინამდვილის ისე ჭვრეტას, როგორდაც არის რეალურად და უადვილებს მის გადმოცემას უბრალო მოთხრობითი ფორმებით, თითქმის გაუზვიადებლათ და გადაუჭარბებლად.

იუმორისტობასთან ერთად ამხ. გადარეული ითვლება ჩვენში იუმორისტულ ჟურნალებისა და საზოგადოთ ლიტერატურულ გამომცემლობის ერთ-ერთ უმთავრეს ორგანიზატორადაც.

ონისიმე.

გ ა დ ა რ ე უ ლ ი

ამხ. ნიანგისაგან

ამხ. გადარეულის შესახებ სასიხარულო ცნობების მიღების გამო მე გამოვეცი ბიულეტენი*), რომელიც მოეფინა საქართველოს ყველა დაბა-ქალაქებს და სოფლებს. მოგვყავს სიტყვა-სიტყვით ბიულეტენის შინაარსი.

ყველას, ყველას, ყველას!

ნიანგი განუზომელი სიხარულით აცნობებს ქართველ მშრომელ ხალხს, რომ ამხანაგი **გადარეული**, რომელიც

---

*) ბიულეტენი უნდა გამოცემულიყო იმდენი ცალი, რამდენი მცხოვრები არის საქართველოში, მაგრამ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ჯერ კიდევ ვერ გამოურკვევია საქართველოში მცხოვრებთა რაოდენობა, რისთვისაც ა. რუხაძე, დათაძე და ფერაძე იწვევენ ყველა ქვეყნის სტატისტიკოსების კონგრესს. ამიტომ ჩვენმა რედაქციამ ბიულეტენი გამოსცა ნაგარაუდევად 2,358,311 ცალი. ბიულეტენი ააწყვეს ნიანგის საკუთარ სტამბაში ს. თ—იამ და ვანო ბოლქვაძემ.

ორი წელიწადია, რაც თფილისიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგა და მის შესახებ არავითარი ცნობები არ მოეპოებოდა მის ნაცნობ-მეგობრებს, ამ დღეებში მშვიდობიანათ ჩამოვიდა საქართველოში საგიჟეთიდან. საქართველოში მისი ჩამოსვლის გამო თბილისის მშრომელი ხალხი ამ დღეებში მოაწყობს დიდ მანიფესტაციას.

არჩეულია სპეციალური მომწყობი კომისია.

ვინაიდან საგიჟეთის უკანასკნელი ამბებით დიდათ დაინტერესებული არიან საზოგადოების ფართო წრეები, ამიტომ ამხ. გადარეული მთელი 24 საათის განმავლობაში განუწყვეტლივ ღებულობს სხვადასხვა ორგანიზაციების და პრესის წარმომადგენლებს.

3 ივნისს საოპერო თეატრში, რომლის ხამთრის სეზონი დიდი ამბით გაიხსნება და დადგმული იქნება „ცისანა“ ცნობილ კომპოზიტორის დოლიძისა, რომელმაც ოპერის წერა დედის მუცელში დაიწყო, ოპერის დაწყებამდე თბილისის კომიტეტის დადგენილებით მოეწყობა დიდი მიტინგი ამხ. გადარეულის ჩამოსვლის გამო, რომელზედაც თვით გადარეული გააკეთებს მოხსენებას საგიჟეთში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ.

ამხ. გადარეული სრულიად ჯანსაღათ გამოიყურება.

ამხ. **გადარეულის** ბინის საძებნათ ქალაქის აღმასკომის „ჟილოტდელის—აგენტები ენერგიულ ზომებს იღებენ და როგორც „ჟილოტდელის“ გამგე ირწმუნება 1924 წლის დამლევს ბინა იქნება მონახული ან „ვერაზე“,

ან „ნაძალადევში“. ჯერჯერობით კი ამხ. გადარეული მოთავსებული იქნა ნიანგის ბინაზე.

მოკლე ცნობები ამხ. გადარეულის შესახებ *)

1 აგვისტოს 1921 წ. დიდ ისტორიულ მოვლენას ქონდა ადგილი საქართველოს დედა ქალაქში.

ჩვენ, ეგრედ წოდებული „ყუმბარელები“, ჯერ კიდევ ორი თვით ადრე ვაწყობდით შეთქმულებას საზოგადოების ნაძირალეების წინააღმდეგ, მეთაურებათ ავირჩიეთ ერთხმად ამხ. ს. თ—ია და გადარეული.

ვინაიდან ჩვენი მიზანი იყო ბატონ ჩარჩ-სპეკულიანტების, ბურჟუების და მათი აგენტების, ცრუ სოციალისტების: მენშევიკ-ესერების, ფედერალისტების და საბჭოთა საქართველოს ყველა მავნე ელემენტების აღგვა დედამიწის ზურგიდან და საიქიოს სანაგვეში მათთვის შესაფერი ადგილის მიცემა, ამიტომ ერთმა ყუმბარელმა გამოიგონა ისეთი რამ, რომელიც გასკდებოდა თუ არა, ისე დაიგრიალებდა, რომ მოწინააღმდეგეთა ბანაკში გამოიწვევდა მთელ აურ-ზაურს: ზოგს ენას ჩაუგდებდა მუცელში, ზოგს დააყრუებდა, და უმრავლესობას კი თა-

*) ეს დღიური ნაპოვნია გადარეულის სახელობის არქივში, რომლის გამგეთ დანიშნულია ამხ. რ. კალაძე.

ვის ნაფცქვენ-ნატეხებით სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებდა. ასეთ სასროლს ჩვენ დავარქვით „ყუმბარა“.

მხოლოდ ერთი გარემოება გვაწუხებდა; ეს იყო ის, რომ ყუმბარის გადამსროლელს შესაძლო იყო მოსვლოდა რაიმე ხიფათი, თუ ის ვერ მოასწრებდა მარდათ უკან გამოქცევას. ამასთანავე ჩვენ ყუმბარას ქონდა ერთი თვისება: გავარდებოდა თუ არა, დადგებოდა კვამლთა ისეთი ნისლი, რომელშიაც ყველაფერი დომხალივით აირეოდა.

მაგრამ ჩვენ ამ საშიშროების წინაშე უკან არ ვიხევდით და განვაგრძობდით ჩვენს დაწყებულ საქმეს. საზოგადოების ნაძირალებზე თავდასხმის დროც კი გვქონდა დანიშნული.

ეს იყო 1 აგვისტო.

დიდი ამბით ვემზადებოდით ამ დღისათვის.

ყველა ჩვენთაგანს განაწილებული ქონდა ფუნქციები.

კომანდირებათ ავირჩიეთ ს. თ—ია და გადარეული.

ჩვენ კი: მე, ონისიმე და ბურნუთი ვხელმძღვანელობდით ყუმ-ბარელების რაზმებს.

გულის ფანცქალით მოველოდით 1 აგვისტოს. ყუმბარა ისეთი თვალწარმტაცი გამოდგა გარეგნულათ, რომ მისი გადასროლაც კი გვენანებოდა. წინლამით მოხდა ჩვენი საბჭოს სხდომა, რომელზედაც უნდა გადაწყვეტილიყო, თუ ვის უნდა დავალებოდა ყუმბარის გადასროლა. დიდი კამათის შემდეგ ყუმბარის გადასროლა

ლაეკალა ამხ. გადარეულს, რომელიც ამ გადაწყვეტილებას დიდი სიხარულით შეხვდა.

მან წარმოსთქვა მოკლე, მაგრამ მგრძნობიარე სიტყვა:

ამხანაგებო, ვინ იცის ეგებ სიცოცხლეც კი შევწირო ჩვენს დღევანდელ თავდასხმას ცხოვრების ნაძირალებზე, მაგრამ მე ვიცი, რომ ამას მიკარნახებს მოვალეობა და მეც მას ვასრულებ სიხარულით. მისი სიტყვა დაიფარა ჩვენი ტაშის გრიალით.

ამხ. გადარეულის მგრძნობიარე სიტყვამ ჩემში წარმოშვა შემდეგი აზრი: რომ გადარეული ყოველივე ხიფათს აგვეშორებია, ჩვენ შეგვეძლო ამხ. გადარეული ჩაგვეჯდინა ჰაეროპლანში, რომლიდანაც ის სრულიად უვნებლად ჩამოაგდებდა ყუმბარას იმ ადგილას, სადაც ეს საჭირო იყო.

ჩემი აზრი ყველას მოეწონა. მოეწონა თვით გადარეულსაც. მე იმ წამშივე გავეშურე „Заря Восток"-ას რედაქციისაკენ, სადაც მეგულებოდა ახალი სისტემის ჰაეროპლანი.

გაიგო რა „Заря Восток"-ას მაშინდელმა რედაქტორმა ამხ. სანდრო თუმანიშვილმა, თუ რაში იყო საქმე, იმ წამსვე გასცა ბრძანება, რომ ჰაეროპლანი 1 აგვისტოს დილის 9 საათისთვის მზათ ყოფილიყო ამხ. გადარეულის განკარგულებაში.

ყველაფერი მზათ იყო. ველოდით მხოლოდ 1 აგვისტოს გათენებას, ლოდინიც აგვისრულდა. ქალაქის ქუჩები გამოცოცხლდენ. მაშინდელი გოლოვინის პროსპექტი გაივ-

სო მოხეტიალე ახალგაზრდობით, სახე შეთხუპნილ ქალ-ებით, ჩარჩ-ვაჭრებით და საბოტაჟნიკ-მოსამსახურეებით.

ყუმბარა უნდა გამსქდარიყო ბოგდატიევის“ გრუკავ-როსტას„ წინ.

ამხ. გადარეულმა ფრთხილად ჩაიდო ყუმბარა ჯიბეში, ჩაჯდა ჰაეროპლანში და მზათ იყო მოქმედებისათვის.

ჩვენი სამხედრო შტაბი მოთავსებული იყო პოლიტგანათლების საგიტაციო განყოფილებაში. დაჭკრა თუ არა ცხრაჯერ ქალაქის საათმა, გაისმა ს. თ-პს ბრძანება „ყუმბარელებო მოემზადეთ. გადარეულო იმოქმედე!“

ჩვენ თვითეულმა ყუმბარელმა წინ და წინვე ვიცოდით სად და როგორ უნდა გვემოქმედა.

ბრძანება და ჩვენი გაქუსვლა დანიშნულ ადგილისაკენ ერთი იყო.

ყუმბარამ დაიგრიალა.

თბილისი ფეხზე დადგა.

ლიპიანი ვაჭრები ვერ გაქცეოდენ ყუმბარის ნატეხებს და მათი გვამები ქუჩაში ეყარა. პროსპექტზე მოხეტიალენი მთლად გაენიავებია ჩვენ ყუმბარას. გამსკდარი ყუმბარის შედეგები საუცხოო იყო.

ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. საზოგადოების ნაძირალები, რომლებიც შემთხვევით გადარჩენ ამ უბედურებას, დაღვრემილი გამოიყურებოდენ. ჩვენ შეუდექით მეორეჯერ ყუმბარის გადასროლას, მაგრამ ამ

დროს მოგვაგონდა ამხ. **გადარეული**, რომელიც არსად სჩანდა არც მკვდარი და არც ცოცხალი.

ამ შემთხვევამ ძალიან დაგვაღონა.

ჩვენ ვიცოდით, რომ მეორეჯერ გადასროლა ყუმბარისა უიმისოთ ძალიან გაგვიძნელდებოდა.

ამიტომ შეუდექით მის ძებნას,

მიგრამ ამაოდ...

ამხ. გადარეულის კვალსაც ვერ მივაგენით.

ყუმბარელი **წიწაკა.**

დღეს, როდესაც ამხ. გადარეული დაბრუნდა საგიჟეთიდან და ჩვენთან არის, ჩვენ მისივე ცნობებით ვტყობილობთ, თუ როგორ მოხდა ის საგიჟეთის სახელმწიფოში. ამის შესახებ დაწვრილებით ამხ. **გადარეული** თვითონ ფიქრობს მომავალში გააცნოს საზოგადოებას.

„ნიანგის“ სარედაქციო კოლეგიის დავალებით ამხ. ნიანგი ყოველდღე აწვდის რედაქციას მისი ძვირფასი მობინადრის და მეგობრის ამხ. გადარეულის ყოველდღიურ მუშაობიდან ცნობებს.

გუშინ მივიღეთ შემდეგი ცნობები:

— ამხ. გადარეულს განუზრახავს გამოსცეს თავის ნაწერების მეოცე ტომი შემდეგი სათაურით — „საგიჟეთში“.

— გუშინ ამხ. გადარეული ინახულეს თბილისის ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენლებმა.

მგრძნობიარე სიტყვით მიმართა მას გაზეთების ტრესტის გამგემ ამხ. გრ. გოგიშვილმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა ამხ. გადარეულის დიდი ღვაწლი წარსულში და გამოსთქვა იმედი, რომ მისი ჩამოსვლით საქართველოში პრესის საქმე აყვავდება.

სიტყვებით მიმართენ მას აგრეთვე გაზეთ „კომუნისტი"-ს სახელით ამხ. ნიკომ, გაზეთ „მუშა"-ს, „სოფლის მუშა"-ს, „გრდემლი"-ს და სხვა მრავალ ჟურნალ-გაზეთების სახელით ამხ. პავლემ.

ამხ. გადარეულმა შესაფერისად უპასუხა მათ:

ამხანაგო **გრიშა!**

მიიღე სალამი
და ჩემი კალამი
ჟურნალ-გაზეთებისთვის
იქნება, ვით ნამი
დამღრალ ყანებისთვის,
ოღონდ ჩემ მეგობარს,
ჩვენს საყვარელ ნიანგს
ნუ მოაკლებ ქანქარს
და მსუქან საყლაპავს.

ამხანაგო **ნიკო,**
გისურვებ, რომ იყო
მაგრად ვით ქვიტკირი,
აგეშოროს ჭირი..
ვიყავ საგიჟეთში,
ეჭირვების დღეში.

დღეს ვარ თქვენს შორის
აჰა, ეს ამბორი.
(კოცნიან ერთმანეთს).
ამხანაგო **პავლე**!
ვთვალე, ვთვალე, ვთვალე
და ძლივსღა დავთვალე.
რედაქტორობ რამდენს
ჟურნალ-გაზეთებს?
„მუშა“ გაზეთი
არის ცეცხლ ნაკვეთი
და „მუშა სოფლის“—
შრომის და ოფლის
„გრდემლზე“ კი შემდეგ
გეტყვი და გაიგებ.

გადარეული საქართველოში

როგორც თავის დროზე იყო გამოქვეყნებული, ამხ. გადარეულის საქართველოში ჩამოსვლის გამო, მოეწყო საზეიმო ცენტრალური კომისია. ზეიმის გამართვა დანიშნული იყო კვირას, -3 ივნისს. ამხ. გადარეულის ჩამოსვლით დაინტერესებული იყო ფართე საზოგადოება, ამიტომაც კომისიაში წარგზავნილი იყვნენ თბილისში არსებული ყველა კულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

თბილისის ყველა ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებიდან კომისიაში გაიგზავნა ამხ. პავლე და **„ქარხნის ჰანგების“** პასუხნაგები რედაქტორი ამხ. სანდრო ეული. მათ შორის უკანასკნელმა კომისიაში მუშაობაზე უარი განაცხადა.

ვინაიდან ამხ. ეულის განცხადება დიდ ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენს, ამიტომ თვით ეულის ნებართვით აქვე ვაქვეყნებთ მის განცხადებას:

„იძულებული ვხდები ამხ. გადარეულის საპატივცემლო ზეიმის მომწყობ კომისიაში ვერ მივიღო მონაწილეობა. ამხ. გადარეული ჩემი სულის და გულის განუ-

ყოველი მეგობარი არის, მე და გადარეული ერთად ვიზრდებოდით სოფ. აკეთის გიმნაზიაში, შემდეგ ოზურგეთის უნივერსიტეტში და ლანჩხუთის აკადემიაში, ერთად ვმუშაობდით ჩაქვის პლანტაციების დირექტორებათ, შოლარის წყალსადენის უფროს ინჟინრებათ და ბალახანის პრომისლების „უპრავლიაუშჩებათ". თბილისში მისი ჩამოსვლა და ნიანგის რედაქციაში ჩვენი ერთად მოლვაწეობა ჩემში უსაზღვრო სახარულს იწვევს. მიუხედავათ ამისა იძულებილი ვარ კომისიაში მუშაობის შესახებ ფარი განვაცხადო იმ მოსაზრებით, რომ მე და ამხ. **პავლეს** ერთათ ყოფნა, ერთ კომისიაში კი არა, ერთ—ცის ქვეშ, ერთ სახლში, ერთ ოთახში ყოვლად შეუძლებელია და ეს იმიტომ, რომ ჩვენ სხვადასხვა თიხიდან გაკეთებული ადამიანები აღმოვჩნდით. მე მაგალ. მიმართულებით ინდივიდუალისტი ვარ და კოლეგიალური მუშაობა მწამს (წევრი ვარ ქართულ-პროლეტარულ მწერალთა კოლექტივისა) ამხ. პავლე კი—კოლექტივისტია და კოლექტიური მუშაობა არ მოსწონს. გარდა ამისა მე „ინტერნაციონალისტი" ვარ, ის კი „უკლონისტი". ეს კიდევ არაფერია, ჩვენ ერთმანეთის აგებულება და ფიზიონომია არ მოგვწონს, მე მაგ. არ მომწონს მისი ცხვირი, მას კი—ჩემი თვალები, მაგრამ რაც თავი და თავია, ეს ის რომ, როგორც იტყვიან ვერ ვინელებ (Не перевариваю) ამხ. პავლეს თავს, რომელიც ჩემს ესტეტიურ გემოვნებას იოტის ოდენადაც ვერ აკმაყოფილებს. და განა შეიძლება დღეს უმზირო იმ თავს, რო-

ელიც ოდესღაც ლამაზი ტყით შემკულ მაღალ მთას ეავდა, დღეს კი ხრიოკა ხვამლის ქედს დამზგავსებია?..

ამ მოსაზრებით მწუხარებას გამოვთქვამ, რომ ვერ ვიღებ კომისიაში მონაწილეობას და თავს ვანებებ მას".

ეულის განცხადება მიღებულ იქნას ცნობათ.

ცენტრალური კომისიის სხდომები ყოველდღე იმართებოდა, რომელშიაც მონაწილეობას იღებდა სამას საშოცდასამი კაცი. კომისია დაყოფილი იყო ქვეკომისიებათ. კომისიის უკანასკნელი სხდომა მოხდა შაბათს 2 ივნისს, რომელმაც გასტანა დილის 5 საათიდან ღამის 2 საათამდის. დანიშნულ დროს ყველანი გამოცხადენ, გარდა ამხ. ნესტორ ცერცვაძისა, რომელიც წარმომადგენელი იყო საქ. რევოლიუციონურ მუზეის და პოლიტგენათლების მთავარმართველობის სამი ათას სალიკვიდაციო სკოლების.

ათი წუთის შემდეგ ნესტორმაც შემოაღო კარი და ბოდიშის მოხდის შემდეგ, რომ მას დააგვიანდა, რადგან 15 კრებას დაესწრო სხვადასხვა ადგილას, იქვე ჩამოჯდა და რეპლიკების მზადებას შეუდგა. ამხ. გიორგიმ წარმოადგინა ვრცელი გეგმა ზეიმის მოწყობის შესახებ, გეგმის თანახმათ კვირას, 3 ივნისს, დილიდანვე კომისიის მთელი

შემადგენლობა თავს მოიყრიდა გადარეულის და ნიანგის ბინის წინ. საიდანაც ამხ. გადარეული რამდენიმე ამხანაგებთან ერთათ ჰაეროპლანით შემოუფრენდა ქალაქს.

12 საათზე კი მუშათა სასახლის წინ ზღვა ხალხის წინაშე წარმოითქმებოდა სიტყვები, საღამოს ოპერის თეატრში მოხდებოდა თბილისის მუშათა და წითელ არმიელთა საბჭოს სხდომა ფაბზავკომების და ადგილკომების თანადასწრებით, რომელზედაც ამხ. გადარეული გააკეთებდა მოხსენებას საგიჟეთში მომხდარ უკანასკნელ ამბების შესახებ, რომლის შემდეგ დაიდგმებოდა ცნობილი ოპერა „ცისანა“ და ბოლოს კი მთელი თბილისისათვის „სტელაში“ გაიმართებოდა ბანკეტი.

ასეთი გეგმა კომისიის პლენუმის მიერ შეუცვლელათ იქნა მიღებული. უკვე ღამის მეოთხე საათი იყო ერთი საათის შემდეგ უკვე გათენდებოდა და ამიტომ კომისიის წევრებმა არჩიეს იქვე გაეთენებიათ. ბევრ ჩვენთაგანს გათენების მოლოდინში თვალზე ლული ა მოკარებია. ის იყო ჩამთვლემოდა კიდეც რომ მომეს ვირების ყროყინი, ეს ის ვირები იყო, ალბათ რომლები ადრე დილას შემოიჭრებიან ხოლმე თბილისში ახლო მახლო სოფლებიდან მაწონიან ქილებით დატვირთულ მე წამსვე წამოვხტი ზეზე, სხვებმაც მომბაძენ და რამდენიმე წუთის შემდეგ ქუჩაში ჩამწკრივებულნი მივეშურებოდით ბებუთოვის ქუჩისაკენ. თავისუფლების მოედნიდან პირდაპირ წავედით განოვის ქუჩით, რომ გაგვეარა ამხ.

ს. თ-იას ბინასთან, რომლის აივანზე ამხ. სილვას ჩვენს მოლოდინში ჩამოყვინთებოდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის ჩვენს პროცესიას შემოუერთდა.

„გეტყობა სილვა, წუხელის არ გიძინია" შეეკითხე მას.

„სწორედ არ მიძინია, ეს იყო ეხლა მოვედი სახლში. წუხელის მთელი ღამე გადარეულთან და ნიანგთან ვიყავი, სხდომა გვქონდა ერთ ფრიად საჭირ-ბოროტო კითხვის შესახებ". მოიგო მან. მაინც არ შეიძლება, ვიცოდე რა კითხვა იყო?

დაწვრილებით შემდეგ, მხოლოდ ეხლა გეტყვი იმას, რომ ამხ. ნიანგის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ და ეი ამის შესახებ გვქონდა სჯა-ბაასი.

ამასობაში კიდეც მივაღწიეთ სახლს, რომელშიაც ცხოვრობენ გადარეული და ნიანგი.

ყველანი გულის ფანცქალით ელოდენ მის გამოსელას. მე და სილვა გავეშურეთ პირდაპირ მის ბინისაკენ. ბებუთოვის ქუჩა მთლად გაიჭედა ხალხით. გაუმარჯოს გადარეულსო; განუწყვეტლივ ისმოდა ხალხში. ცოტა ხნის შემდეგ იქვე აივანზე დაეშვა შიშინით ჰაეროპლანი.

აბა, წავიდეთ! სთქვა ამხ. გადარეულმა და გავეშურეთ ჰაეროპლანისაკენ. გადარეულის აივანზე გასვლამ ხალხში ოვაცია გამოიწვია. გაისმა ტაშის გრიალი და ძახილი: „გაუმარჯოს გადარეულს! ამხ. გადარეულმა მოკლე, მაგრამ გრძნობით სავსე სიტყვით მიმართა ხალხს და მადლობა გადაუხადა პატიეისცემისათვის, რომლის

შემდეგ ჩავჯექით ჰაეროპლანში და შევსრიალდით ჰაერში. ამხ. გადარეულთან ისხდენ, ნიანგი და ს. თ-ია, უკან კი ჰაეროპლანის კუდზე წამოვსკუპტი მე ხელში ფანქარით და ქაღალდით.

ამ დროს სწორედ მთელი თბილისი, როგორც ერთი კაცი, ქუჩებში გამოფენილიყო და პირ დაღებული ცისკენ გვიცქეროდა. ვინაიდან ჩვენ შორის ყველაზე უკეთესად თბილისს ამხ. სილვა იცნობდა, ამიტომ მას მიენდო ეჩვენებია ჩვენთვის ქალაქის ღირს შესანიშნავი ადგილები. ჩვენი მარშრუტი ასეთი იყო: თავისუფლების მოედანი, რუსთაველის პროსპექტი, მამა დავითის მთა, იქიდან პირდაპირ შრომის უბნისაკენ და თუ დრო დაგვრჩებოდა გარშემო შემოუფრენდით თბილისს.

ჰაეროპლანიდან თავჩამოქინდრული ვათვალიერებდით ქალაქს. ეს რა ხალხს მოუყრია თავი ამ მოედანზე? ეს რომელი მოედანია? იკითხა გადარეულმა. „თავისუფლების მოედანს ვეძახით, ყოფილი ერევნის მოედანია. ხალხი კი... აი ისინი, გაზეთის გამყიდველთან, რომ დგანან, ისინი დღეისთვის ჩვენს ჟურნალებს იძენენ ქუჩებში გასავლელ პროპუსკების მაგიერ. იმ კუთხეში, რომ დგანან, ისინი კი, ჩვენი „ნეპმანელები" არიან, წითელი ბირჟეველები, მიუგო ამხ. სილვამ.

გადარეულმა ცალი თვალით გადმომხედა: „ჩაინიშნე! მიენდოს ამხ. ნიანგს ჩვენი ბირჟეველების მოლვაწეობის შესახებ შესაფერი დეკრეტის გამოცემა.

ოპერის თეატრს, რომ დაუპირდაპირდით, ნიანგმა თვალი მოჰკრა რაღაცას და გაოცებით იკითხა:

ხედავთ, იქ რალაცა ამბავია? ხალხი გარბის, ცხვირზე ხელი მოუჭირებიათ. რაშია სილვა საქმე?

ისეთი არაფერი! დამშვიდებული კილოთი დაიწყო სილვამ. აი ხომ ხედავთ იქ, იმ პატარა და კოხტა შენობას, რომელიც ოპერის თეატრის მარცხნივ არის აგებული, სათეატრო შესახვევში, № 0 თუ არ ვსცდები, აი იმ შენობის ერთ ოთახზე ჩვენს ჟილოტდელს—გაუცია რამდენიმე ორდერი (რაოდენობა ორდერისა გამოურკვეველია); ბინის მძებნელები ერთად მისულარიან ოთახის ასაღებათ და იქ ერთმანეთ შორის შეტაკებას ქონია ადგილი. თბილისელებს ეს შემთხვევა არ უკვირთ, რადგან იმ ადგილას ასეთ სურათს დიდი ხანია შეჩვეული არიან.

გადარეულის სახეს რალაც გაკვირვების ნიშნები ალებეჭდა.

,,ნუ გენაღვლებათ! მე მომანდვეთ ამ უწესრიგოების მოწესრიგება! გაბედულათ წამოიძახა ნიანგმა.

უკვე თორმეტის ნახევარი იყო. ჩვენ კი გვრჩებოდა დაუთვალიერებელი ქალაქის ბევრი ადგილები.

აბა, ამხანაგებო, ეხლა ჩვენ პირდაპირ შრომის უბნისაკენ გავეშუროთ, რათა არაქელა და გიორგის წამოყვანა მოვასწროთ. ,,თანახმა ხართ''? თანახმა ვართ, თანახმა! ერთხმად მიუგეთ ჩვენ.

ცოტა ხნის შემდეგ ჩვენ ჰაეროპლანით დავშხუოდით და თავს დავტრიალებდით შრომის უბანს. როდესაც არაქელას ათ სართულიან სახლს გაუსწორდით, ჩვენ დავინახეთ არაქელა და გიორგი, რომლებიც ხელების

ქნევით თავისკენ გვიწოდებდენ. ჩვენ არ დავაყოვნეთ და დავეშვით არაქელას ეზოში.

,,გაუმარჯოს ჩვენს ძვირფას სტუმრებს! აბა, დაფაცურდით ბიჭებო, გადარეულის სტუმრობა არ გეგონოთ ხუმრობა! საგიჟეთიდან არის, ჰე, საგიჟეთიდან! იძახოდა არაქელა.

შენ არ მოგიკვდე არაქელა, ჩვენ ჰაეროპლანიდან არ გადმოვიროთ! აი ხომ ხედავთ, 5 წუთი აკლია 12-ს, როგორ შეიძლება, ამხანაგებს ხომ არ ვაცდევინებთ!

,,აბა, მობრძანდით, აქვე ჩაგვისხედით, და უკანვე გავსწიოთ'', მიუგო გადარეულმა. არაქელა და გიორგი უარზე იდგენ.

არა, ამხანაგებო, თქვენი ოინები ვერ გასჭრის! ჯიუტობდა არაქელა. მაგრამ გადარეულის, ნიანგის და ს. თ-იას სიმტკიცემ გასჭრა და არაქელა და გიორგი იძულებული გახდენ ჩაგვსხდომოდენ ჰაეროპლანში.

სწორედ 12 საათზე ჩვენი ჰაეროპლანი დაეშვა შროშის სასახლის პირდაპირ ,,ზარია ვასტოკას'' შენობის სახურავზე, საიდანაც ჩვენ გავეშურეთ ტრიბუნისაკენ, რომელიც სასახლის წინ გაეკეთებიათ.

ჩვენ დანახვაზე გაისმა გრიალი ზღვა ხალხისა: გაუმარჯოს გადარეულს!

გაუმარჯოს ნიანგს!

პირველი სიტყვა წარმოსთქვა ცენტრალური კომისიის სახელით ამხ. გიორგიმ, რომლის შემდეგ ორატორები ორატორებს ცვლიდენ.

როგორ გადვირჩი.

შარშან, ამ დროს, თბილისი რომ სიცხისაგან თავის „კალაპოტში“ ვერ ეტეოდა, ხალხი, რომ ქუჩებში გამოფენილიყო და რუსთაველის პროსპექტზე გავლა არ შეიძლებოდა: ან გვერდებს ჩაგამტვრევდენ, ან ავლაბრულად „შემოგიკურთხებდენ“, (პოეტ ტ. ტაბიძის ცნობით ასეთ მოვლენებს დღესაც ქონია ადგილი თბილისის ქუჩებში) ერთ უბრალო შემთხვევის გამო, ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში შემთხვევით მოვხვდი, საცა გადარეულად მიმიღეს და საავადმყოფოშიაც გამაგზავნეს. მართალია, გადარეული გამოვდექი არა მე, ორამედ დაწესებულების გამგე, მაგრამ მას შემდეგ გადარეულის სახელწოდებას ვატარებ და ნამდვილ გადარეულს მართლა გადარეული ვგონივარ.

დღეს 12 საათი იქნებოდა, რუსთაველის პროსპექტი სავსე იყო მოსეირნე, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, მოხეტიალე ხალხით, „ტარტაროზის“ დავალებით ქუჩებში „საკბილოს“ ვეძებდი. ლალიძის წყლის სავაჭროსთან დიდძალ უსაქმურებს მოეყარათ თავი. თვით სავაჭრო ისე იყო გაჭედილი, რომ შიგ ხვლიკიც ვერ შეძრობოდა. მე კი,

როგორც იყო შიგ შეეედი (მიშველა „ტარტაროზის“ მანდატმა).

— რიგში ჩადექით, მოქალაქევ, რიგში! მომესმა ხმები, როცა შაურიანი გაუწოდე ახალგაზრდა თვალჩრელა მოლარე ქალს.

— აქაც რიგში უნდა ჩავდგე? უკმაყოფილოდ ჩავილაპარაკე ჩემთვის და სავაჭროდან გამოვედი.

ოპერის თეატრის წინ შეჭუჩებულ ხალხს მოვკარი თვალი. ეგებ რომელიმე „სატარტაროზო“ ამბავი იქნეს მეთქი, გავიფიქრე და ის იყო დავაპირე იქით წასვლა, რომ ქალის ხმა შემომესმა: „კაკი ნახალ!“ მივხვდი რაშიაც იყო საქმე: უნებლიეთ ქალს გვერდით გავკროდი, მოვბრუნდი. ბოდიშის მოხდა განვიზრახე, მაგრამ შევჩერდი. ქალს ორი „კავალერი“ მოყობოდა. ერთი ვილაც ულვაშებ - გადაგრეხილი, ჩახანჯალებულ - ჩარეცოლვერებული, რომელიც ნამდვილ „ჯაყოს“ წააგავდა, მეორე კი ენაწავდებული „გომბაქი“ ძალლი. სიმართლე უნდა ითქვას, ტანში გამაქრქოლა. ვიფიქრე, ვაი თუ თვითონ მე გავხდე „სატარტაროზოთ“ მეთქი და შურდულივით გავექანე ოპერის თეატრისაკენ.

— გამიშვით, გამიშვით, უნდა დავწვა! ყვიროდა პოეტი სანდრო ეული, რომელიც ნავთით და ასანთით იყო შეიარაღებული.

— არ გაგიშობ! კოროტკო ი იასნო! ისმოდა დირექტორის ხმა, რომელიც ჯვარზე გაკრულივით იდგა კარებში.

— გამიშვით! გამიშვით! უნდა დავწყა ძველი ოპერები, უნდა დავწვა ამ თეატრის ნაგავი, ოპერის თეატრი უნდა დაადგეს ახალ გზას. უნდა შეიქნეს თანამედროვე ოპერა... პათეტიური ხმით განაგრძობდა ეული.

— მე არ ვიცი ძველი და ახალი ოპერა, მე ვიცი ხოლოდ ფული. მე არ ვარ არც ზაქრო ფალიაშვილი, არც ვანო ფალიაშვილი, არც ქარცივაძე, არც გურესი... მე ვარ კომერსანტი... მე ვდგამ იმ ოპერას, რომელსაც შემოსავალი ექნება... მე ვიცი ფული და ფული! თავ-შომწონეთ გაიძახოდა დირექტორი.

— თქვენ რაცა ხართ და ვინცა ხართ, კარგად ვიცი... ჩვენ გვინდა ახალი, თანამედროვე ოპერა... ძველს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ! გამიშვით, გამიშვით!..

— არ გაგიშობ!.. არა, არა! უყვიროდენ ერთმანეთს ეული და დირექტორი.

გამიშვით, თორემ აი, ხედავ! და ის იყო ეულმა მოიმარჯვა ხელში სანავთე დირექტორისათვის ნავთის შესასხმელად, რომ თითქოს მიწიდან ამოძვრაო, გაჩნდა ბრანდმეისტერი ბერიძე თავის ცეცხლისმქრობელი რაზმით. შემდეგი ამბები ყველამ იცის: ეული „დამარცხდა“, დირექტორმა სრული „გამარჯვებით“ დაასრულა სეზონი, რომლის გამო დიდი ამბავით გადაიხადეს მისი იუბილეი. მაგრამ ეს ამბავი არ ეხება ჩემი გადარევის საკითხს. ცეცხლისმქრობელი რაზმის დანახვისთანავე მე „მოვკურცხლე“ განსახკომისაკენ, საცა აუარებელი ხალხი რიგში იდგა. ვიფიქრე, ალბად, აქაც თუ წყლისთვის დგანან

შეთქი და მეც ვიკადრე რიგში ჩადგომა. გაგიჟებით მწყუროდა. ცოტა ხნის დგომის შემდეგ მეორე სართულზე ავიწიეთ და ერთ ოთახში ამოვყავით თავი. მე კუთხეში მოვხვდი, საცა ხან ერთ კედელზე მიმაჯახებდენ, ხან მეორეზე.

მეორე ოთახიდან ხმამაღალი ლაპარაკი მოისმოდა.

— მე თქვენ ვერ მიცნობთ, მე მეცნიერი პოეტი ვარ, ევგენი დვალი, რევოლიუციონერი და შოთა რუსთაველის პარტიის ბელადი!

— როგორ თუ ვერ გიცნობთ, მაგრამ თქვენი ლექსები თანამედროვეებისათვის...

— რაო, მიუღებელია?.. რას ამბობთ, თქვენ ბეცი ყოფილხართ, განა, ასეთი ლექსები მიუღებელია?

კაცის ცნობას უნდა ჭკუა,
ჩვენში თითქმის ყველა ყრუა,
ვლიან, როგორც ხარაბუა,
ალბად, დრო და ჟამი ტყუა...

გეკითხებით, განა, ეს ლექსი რევოლიუციონური არ არის? განა, მეცნიერული ლექსი არ არის? მაშ, არ მაძლევთ დაბეჭდვის ნებას? ვნახოთ, მე უთქვენოთაც დავბეჭდავ!

და გამგის ოთახიდან ღრიალით გამოვარდა ევგენი დვალი და ჩემ წინ მოჩვენებასავით აეყუდა.

თქვენც მწერალი ხართ?.. შემეკითხა ის.

მე არ ვიცოდი რა მექნა. ბოლოს ტყუილი ვამჯობინე.

დიახ, პოეტი ვარ!..

მაშ, რუსთაველის პარტიის წევრი იქნები.

შემოიარეთ ჩემთან... მშვიდობით... მე დრო არა მაქვს „მეცნიერულ პოემას ვათავებ!“ მან მაგრათ ჩამომართვა ხელი და ოთახიდან გავარდა. მე თავისუფლად ამოვისუნთქე. არ ვიცოდი, სად ვიყავი, რა დაწესებულებაში. გამგის ოთახიდან კვლავ მოისმა ხმამაღალი ლაპარაკი.

მაშ, არ მაძლევთ ნებას?..

არ გაძლევ, ამხანაგო, არა!..

რატომ?

მიზეზი გითხარით. თქვენი ლექსები არ გამოდგება.

მაშ, ტყუილა მიწერია ამდენი ლექსები?..

განა, ეს ლექსი სუსტია, წავიკითხო რაღა.

ავკაცობას ვერ ჩავიდენ
ვერც მეგობრებში, ვერც ძმებში
წორ ამხანაგის ცოლები
არ გამომრჩევია რძლებში
ვისაც გამოგითქვათ ლექსი,
საწყინოო ნურვინ მიიღებს,
რომ თვე ისე არ წავიდეს
არ გამოვთქვა ხუთი-ექვსი
ჩემი ხელობა ეს არის
ვარ ლექსების გამომთქმელი.

ეხლა რას იტყვით? ხომ მართალი ვარ? ქართულ ლექსებს რომ თავი დავანებოთ, ჩემი რუსული ლექსებიც ჩინებულია, ჩინებული! აი თუნდაც ეს ლექსი...

Триста лет наш государь
всех мир в руках держал
если на кого серчал
всех придушил не пускал...

— ამხანაგო, თავი დაანებეთ კითხვას, თქვენი ლექსების დაბეჭდვა არ შეიძლება!

— როგორ თუ არ შეიძლება?

— დიახ, არ შეიძლება!

— გიჩივლებთ!

— მიჩივლეთ და რაც გიწდათ, ის ქენით!

— აბა ვნახოთ...

გამგის ოთახიდან გამორბის ახალგაზრდა, ოთახის კარს მიახეთქს, გამგეს მაგრად შეუკურთხებს და გიჟივით გარბის. მე კიდევ ვერ მიმხვდარიყავ, თუ რა დაწესებულებაში ვიყავი. საგიჟეს არ გავდა... ექიმებს ვერ ეხედავდი, ამ დროს კარებში გამოჩნდა თვითონ გამგე:

— აშოტ! მიმართა მან თავის თანამშრომელს, კარები ჩაკეტე, არავინ შემოუშვა, გესმის, შემოვიდეს ჩემთან მხოლოდ ვინც აქ არიან! ის გაბრუნდა. მინდოდა გაპარვა, მაგრამ შეუძლებელი იყო. უკანასკნელი ჯერიც ჩემზე მოდგა.

— შებრძანდით. ამხანაგო! მომმართა აშოტამ და გამგის ოთახისაკენ ხელი მიმიშვირა. ერთი წუთის შემდეგ გამგის მაგიდასთან ვიდექი. გამგეს თავზე ხელები შემოეწყო და თავი ჩაქინდრა, ცოტა ხნის შემდეგ მან აკრემლებული თვალებით შემომხედა:

აი, ხომ ხედავ, ამხანაგო, რა ყოფაში ვარ, სწორედ კავგიუდე რალა! და მან სკამისაკენ მიმითითა. მე დავ-ჯექი.

— თქვენ პოეტი იქნებით, ალბად! ამოოხვრით შემეკითხა მან.

არა, პოეტი არა ვარ!.. უპასუხე. მას თვალები გაუბრწყინდა.

— მოხარული ვარ, ძლიერ მოხარული... პოეტებმა სული ამომართვეს! ამბობდა ის.

— მაშ, პროზაიკი ბრძანდები?

— არც პროზაიკი...

— ო, ეხლა კი მივხვდი... გაიღიმა მან. დრამატურგი ყოფილხართ. სასიამოვნოა, სასიამოვნო, მხოლოდ მარტო თქვენ დრამატურგის კრიზისიდან ვერ გამოგვიყვანთ: „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს".

— მე არც დრამატურგი გახლავართ! უპასუხე მე. ის თვალებში ჩამაჩერდა. მის სახეს ნაცრის ფერი გადაეკრა. მაშ თქვენ ვინა ხართ?.. სულით ავადმყოფი?.. ჩემთან რა გინდათ? მოიცათ, მოიცათ! ის მეორე ოთახში გავიდა.

— აშოტ, აბა ჩქარა, გამოიწვიე სასწრაფოდ დახმარება. გესმის, დაუძახე, რომ ჩემთან ვიღაც ჭკუაზე შეშლილია, ჩქარა, აბა, ჩქარა!.. მესმოდა გამგის ხმა. ტანში ჟრუანტელმა დამიარა. მინდოდა გავქცეულიყავ, მაგრამ ჩემს წინ გამგე იდგა.

— თქვენ ცოტა ავათა ხართ, არა უშავს, ექიმები ძოგარჩენენ!

— რას ამბობთ?.. მე ავათ არა ვარ!.. გაბრაზებით ვუპასუხე და ის იყო, წასლა დავაპირე, რომ ოთახში შემოვიდა სამი თეთრ-ხალათიანი.

— ვინ არის ავათ? იკითხა ერთმა მათგანმა.

— ეს არის! მიუთითა ჩემზე გამგემ.

— მე ავათ არა ვარ, მე შემთხვევით!.. და შიშისგან სიტყვა ჩავყლაპე.

— ავათ არის, ავათ! ამბობდა გამგე და თან ტიროდა.

— თქვენ რა გატირებთ?.. შეეკითხა მას ერთი თეთრ-ხალათიანი.

— მეშინია, საცაა თავს დამესხმიან... ხედავთ...

— მიშველეთ, პოეტები თავს მესხმიან, პოეტები... ყვიროდა გამგე და კედელზე ეკვრებოდა.

— ხომ ხედავთ, მე კი არა ის არის ავათ... წამოვიძახე ხმამაღლა.

თეთრ-ხალათიანებმა ერთმანეთს ჩაულაპარაკეს.

— აბა, წავიდეთ, წავიდეთ მოგვმართა მე და გამგეს იმათ უფროსმა.

— მე ხომ ავათ არა ვარ მე... მე... არ წამოვალ! შეშინებული ვამბობდი.

— მართალია, თქვენ ავათ არა ხართ, მაგრამ წამოსვლა მაინც თქვენი საჭიროა! ჩამილაპარაკა ერთმა მათგანმა. მეც დავთანხმდი.

რუსთაველის პროსპექტზე რომ გავედით და გადახურულ ეტლში ვჯდებოდით, გამგემ ისევ-ყვირილი მორთო...

მიშველეთ... მიშველეთ... პოეტები თავს მესხმიან! ყვიროდა ის! პოეტები ჯგუფად იდგენ და გამგის გადარევას სიხარულით ხვდებოდენ... რუსთაველის პროსპექტზე გამოფენილიყო მთელი თბილისი და ყველა ჩვენზე ლაპარაკობდა... მეც გადარეულათ მთელიდენ.

საავადმყოფოში დიდხანს არ გაეჩერებულვარ... მაშინვე გამანთავისუფლეს. გამგე კი სულით დაავადმყოფებული აღმოჩნდა და ცალკე ოთახში მოათავსეს. მას შემდეგ ერთი წელიწადი გადის, როგორც გავიგე იმ დაწესებულების გამგეთ ახალი პიროვნება მოუწვევიათ, რომელსაც თურმე, ტერენტი გრანელის ცნობით, სულის ავადმყოფობის ნიშნები იმ დღიდანვე დატყობია, რა დღესაც მას ამ უკანასკნელმა გაუკეთა პირველი ვიზიტი.

გადარეული ბოლჯომში

ამა წლის, 18 ივლისს ამხანაგი **გადარეული** უგუნებოთ შეიქნა, როგორც იტყვიან „ხასიათი დაეკარგა“. დილიდანვე მის სახეს მოწყენილობა დაეტყო. იჯდა თავჩაქინდრული და ხმას არ იღებდა, მხოლოდ ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: „გუნება—ბუნებაო“. გადარეულის ავადმყოფობა ყველასათვის ცხადი იყო. ეტყობოდა მასში ძლიერ სულიერ ტეხას ქონდა ადგილი.

დაუყონებლივ რედაქციამ მიიღო შესაფერი ზომები: მის ბინაზე შეგროვდენ ჩვენი რედაქციის კოლეგიის წევრები, თანამშრომლები და მრავალი მკითხველები. ხალხი ფეხზე იდგა, რადგან **გადარეულის** ბინაზე სკამი არ აღმოჩნდა.

დაუყონებლივ შესდგა „კონსილიუმი“ ამხ. ს.თ—იას, ონისიმეს, სინემატოს, ჰაზირას და წიწაკას შემადგეილობით. აგრეთვე გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია ცნობილ პოეტ—მწერლების: ევგენი დვალის, დაისელის, ტ. გრანელის, ბოგდანოვ-ჩარხიშვილისა და სხვათა შემადგენლობით; მოწვეული იყო კონსულტანტებათ მწერალთა შემდეგი ჯგუფების წარმომადგენლები: „უმოქ-

მედობის“, „არის ფინთების“, „ყლუნწიების“, „მარცხვენალების“, „ას ოც იანცების“ *), რომელთაც დაევალათ ამხ. გადარეულის უგუნებობის მიზეზების გამორკვევა, მთელი დღის, განმავლობაში კომისიის წევრები „თავებს იმტვრევდენ“ და შუბლებს იჭყლეტავდენ სალოკი თითებით, მაგრამ არ იქნა და ვერ გამოარკვიეს მიზეზი გადარეულის დანალვლიანებისა. ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, გადარეულის ბინა სასაფლაოს წარმოადგენდა. გადარეულის მოწყენილობა საოთოთაოდ ყველას გადასდებოდა. ამ დროს გაისმა ცნობილ მეცნიერ პოეტის, ევგენი დვალის ბოხი ხმა:

„მოქალაქენო, გადარეულის უგუნებობის მიზეზი გამორკვეულია, მე თავიდანვე ვიცოდი, რაში იყო საქმე, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, მე მინდოდა ერთხელ კიდევ დამემტკიცებია ყველასათვის ჩემი გენიოსობა. მე მინდოდა თქვენც აგემუშავებიათ თქვენი გოგრები, თუმცა წინდაწინ ვიცოდი, რომ თქვენი აზროვნება დროს დაკარგვა იქნებოდა და მეტი არაფერი. გადარეულის უგუნებობის მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ მან არ იცის წრეულს გაგზავნილი იქნება თუ არა ის რომელიმე კურორტზე. ევგენის კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ

---

*) „ას ოც იანცების“ ჯგუფის სახელწოდება წარმოსდგება ას ოც იანცელების, ანუ ამფორიაქებლებისაგან, რომლებიც ხსენებულ ჯგუფს შეადგენენ. იანცს გურიაში ამფორიაქებელს ეძახიან. ხსენებულ ჯგუფის მიერ მართლაც აფორიაქებულია ძველი მწერლობა.

ტ. გრანელმა ვერ მოითმინა სიხარულისაგან და ხმა მაღლა დაიღრიალა:

„გაუმარჯოს ევგენ დვალს“.

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—

„გაუმარჯოს, გაუმარჯოს!—ისმოდა ხმები და ოთახი დაიფარა ტაშის გრიალით. იმ წუთშივე ტელეფონოგრამით აღძრულ იქნა შესაფერი შუამდგომლობა საკურორტო სამმართველოს წინაშე. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხანაგმა ფრანგულიანმა გვაცნობა, რომ შუამდგომლობა დაკმაყოფილებული იქნა და გადარეული უნდა გაიგზავნოს ბორჯომშიო.

ყველას აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედებდა ეს ცნობა ამხ. გადარეულზე. და მართლაც, გაიგო თუ არა მან, რომ ის ერთი თვით იგზავნებოდა ბორჯომში თვალები გაუბრწყინდა და ღიმილით გადახედა ყველას.

ევგენი დვალი მართალი აღმოჩნდა...

მეორე დღესვე 19 ივლისს, ამხ. გადარეული გაემგზავრა ბორჯომში, რომელსაც თან ახლდა მისი ჰირადი მდივანი ამხ. წიწაკა. გადარეულის ბორჯომში ყოფნის დროს ჩვენი მკითხველები დაჟინებით მოითხოვდენ მის შესახებ დაწვრილებით ცნობებს (მისი ჯანმრთელობის, ვუნების, დროს ტარების და სხვა). სამწუხაროდ, დღემდე მათ მოთხოვნილებებს სავსებით ვერ ვაკმაყოფილებდით. დღეს კი საშუალება გვაქვს სრული ცნობები მივაწოდოთ მკითხველებს გადარეულის შესახებ მისი დღიურის გამოქვეყნების საშუალებით. დღიური საინტერესოა იმ

ხრივ, რომ ის ეხება, როგორც მის პირად ცხოვრებას, ისე საზოგადოებრივ ცხოვრებასაც. ამ დღეებში გადარეული დაბრუნდება ტფილისში და შეუდგება „ტარტაროზი"-ს თანამშრომლობას, მისი ჯანმრთელობა აღდგენილია ასი პროცენტით.

ჩემი დღიური

20 ივლისი. დღეს ბორჯომში ვარ. ტფილისიდან ჩამოვედით წუხელის. ჩვენს წინ აჩრდილივით აეყუდა ვილაც ახალგაზრდა ყმაწვილი.

— თქვენ ვინა ხართ,— მოგვმართა მან.

— ამხანაგი გადარეული და მე წიწაკა!— იყო წიწაკას პასუხი.

— გადარეული? ჰმ, ჩვენ ასეთ ხალხს არ ვღებულობთ.

— თქვენ ვინ ხართ?— გაკვირვებით ეკითხება მას წიწაკა.

— საკურსამმის წარმომადგენელი.

— აა, საკურსამმის, მაშ ინებე, — და წიწაკამ გაუწოდა მას საკურორტო სამმართველოს წიგნაკი.

— გადარეულებსაც გზავნიან.— ჩაილაპარაკა მან თავისთვის და წინ გაგვიძღვა.

ამ დიალოგის დროს, ვილაც „ბოროტ გამზრახველს" (უკეთ რომ ვსთქვათ, თავისთვის კეთილგამზრახველს) ჩემი „ჩემოდანიდან" თეთრი ტუფლები ამოეცოცებია. ამ

შემთხვევის გამო, ბევრი ვიცინე და კმაყოფილიც დავრჩი. მე ისიც მეყოფა, რომ კურორტზე გავატარებ დროს წამლები კი შეიძლება ფეხშიშველი იყო.

ხვალიდან აბაზანების მიღებას დავიწყებ.

ექიმების რჩევით „მთვარის“ აბაზანებით უნდა დავიწყო ექიმობა.

21 ივლისი. მომათავსეს მეორე სანატორიუმში, რომელიც ამაყად გადაყურებს ბორჯომის ხეობას. ახ, რა თვალწარმტაცია ეს ბუნება. რომ შეიძლებოდეს გადავძახებდი ყველა ქვეყნის პოეტებს: პოეტებო, ყველა ქვეყნისა, აქ შეერთდით. ახ, დედასა, ნეტავ ვიყო პოეტი.

წინათ ეს შენობა (მეორე სანატორიუმის) ყოფილა ყოფილ დიდი თავადის სერგიეს (სერგიე ერისთავი არავის ეგონოს), რომელიც ბორჯომს წელიწადში ორი კვირით ესტუმრებოდა თურმე და მის მიდამოებში ნადირობით ერთობდა, როგორც ოთხფეხა, ისე „ორფეხა“ ცხოველებზე. რომ სერგიეი მონადირე ყოფილა ეს იქიდანა სჩანს, რომ ამ შენობის ოთახების კედლები მორთულია, ირმის რქებით, ისე რომ, აქ მყოფნი, თითქმის ყველა ნადირობის იშტაზე არიან. „ნადირობენ“ კიდეც. ალბათ მეც ვინადირებ.

22 ივლისი. მივლიან ექიმები გრიშა გაბუნაძე, სანდრო, უბირაძე, გიორგი-ეილისაბოვი და ლენ-რუხიანი მთავარი ექიმის ბაირონის ხელმძღვანელობით.

24 ივლისი. დღეს, საღამოს 7 საათზე, მთვარის აბაზანების მიღებამდის ბაღში დიდი ზეიმით დაარსდა ტუჩ-

კავშირი“ („გუბსოუზ“), რომლის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა კოლა პირგულაძე. ფალიაშვილის ორკესტრმა შეასრულა ცნობილ დირეჟორის გველესიანის დირიჟორობით სიმფონია: „მთვარის აბაზანა“. პირველ ჭიანურზე უკრავდა თვით ივან პეტროვიჩი.

24 იელისი. დღეს ჩავეწერე ტუჩკავშირში, რომლის წესდების თანახმად უნდა ვასრულებდე შემდეგ მოვალეობას:

1) დილიდან შუადღემდე ტყეში ნადირობა, 2) შუადღიდან საღამომდის ტყეში „ჩრდილის აბაზანას„ მიღება., 3) საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ბაღში ნადირობა, 4) ათ საათიდან „მთვარის აბაზანი“-ს მიღება; 5) ტუჩორკესტრში მონაწილეობის მიღება.

ტუჩორკესტრი დაარსებულია ტუჩკავშირთან, რომლის წევრები ვალდებული არიან ორკესტრშიაც უკრან რომელიმე ინსტრუმენტზე.

25 ივლისი. დღეს ვინადირე. დავიჭირე ერთი ხოხობი. ლამაზი ფრინველია. გალიაში მყავს. დღეს კარგ გუნებაზე ვარ. დავიწყე ლაპარაკი.

26 ივლისი. კვლავ უგუნებოთ შევიქენი. ხოხობი გამიფრინდა, გავიგე პირველ სანატორიუმში გადაფრენილა. იქ ახალგაზრდები დასდევნებიან, რომელთაც ხოხობის გულისათვის ერთმანეთში უსიამოვნება მოსვლიათ და ერთმანეთი დაუკაწრავთ. დღეს ნადირობდენ ექიმები, მაგრამ ხელცარიელი დაბრუნდენ, აბა მათ რა შნო აქვთ ნადირობის. ცნობილი მონადირეა ტუჩკავშირის თავმჯდო-

მარე კოლა. საღამოს შესდგა ექიმ გრიშა-გაბუნაძის კონ-ცერტი. იმდენათ სასიამოვნო იყო მისი ხმა, რომ დილა-მდის არ დამძინებია მიუხედავათ იმისა, რომ ყურები ბამბით მქონდა დაგუბული.

27 ივლისი. დღეს „ტბაში“ ვისეირნე. თან მახლდენ ჩემი ექიმები სანდრო უბირაძე, გრიშა გაბუნაძე, ვალიკო ტალიანი, „ტბაში“ წასვლა უაზრობათ მიმაჩნდა. ვამბობდი; „ტბაში ხომ გველებისა და ბაყაყების მეტი არაფერი იქ-ნება საინტერესო მეთქი. მოვტყუვდი! „ტბაში“ ტბა არ არის. ეს პატარა საავარაკო ადგილია. როცა მივდიოდი გზაში „ხიფათს“ გადავეყარეთ. ტბისაკენ მიმავალი მატა-რებელი „კუკუშკა“-ს რომ ეძახიან ხაშურის მიმართულე-ბით წავიდა. მატარებელი მიქროდა. გავშორდი ბორჯომს.

— არიქა, ჩამოვხტეთ!—დაუძახე მე თანამგზავრებს და ის იყო უნდა გადავმხტარიყავი, რომ ვაგონიდან მოვსხლტი და მატარებლის ქვეშ მოვყევი. პირაღმა ვეგ-დე და ჩემს მუცელზე მისრიალებდენ ბორბლები. ცოტა მოშორებით მატარებელი გააჩერეს და ექიმები ნელა ჩა-მოვიდენ ვაგონებიდან. კიდეც მოვიდენ ჩემთან და მეც წამოვდექი...

— ნუ გეშინია!—მომაძახა ექიმმა ვალიკო ტალიანმა, მომვარდა გრიშა გაბუნაძემ და გული გამისინჯა.

— არა უშავს, ცოტა მომატებულათ ფეთქს, მაგრამ ასეთ შემთხვევაში გულმა ასე იცისო.

ბორჯომში დავბრუნდით. ამ დროს დაიძრა ტბის-კენ მიმავალი მატარებელი და ჩვენც არხეინად მივქრო-

დით „ტბისკენ“ როგორც გამოირკვა, სადგურ „ბორჯომ-ბალის“ უფროსს დავთარი ასვროდა და „ტბისაკენ“ მიმავალი მატარებელი შეცდომით ხაშურისაკენ გაეგზავნა.

28 ივლისი ,1 აგვისტო. მეხუთე დღეა წვიმს. წახდა ნადირობის საქმე. ტუჩკავშირის თავმჯდომარემ კოლამ ნოტა გაუგზავნა წვიმას. ფიქრობენ ხვალ დარი იქნება. მეც მეხუთე დღეა სანატორიუმიდან არ გამოვსულვარ და ას ოცი საათი მეძინა.

2 აგვისტო. დღეს თავი ავიწონე, (თავი კი არა მთელი სხეული.). ათი დღის განმავლობაში ხუთი ფუთი მომატებული ვარ. გამოდის, რომ დღეში ნახევარი ფუთი მემატება.

ამჟამად ათი ფუთი ვარ. რომ ვიანგარიშოთ დანარჩენ 20 დღის განმავლობაში 10 ფუთი მომემატება, ტფილისში ვიქნები ოცი ფუთი. კარგი ამბავია, თქვენ ნუ მომიკვდებით. ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ ჩემი გადაზიდვა ტფილისამდი ოთხჯერ მეტი დაჯდება, ვინემ ჩამოზიდვა დაჯდა.

— მომგვარეთ ადმინისტრაცია!—დავიყვირე მე.

ჩემს წინ სვეტებით დაესვენ: სანატორიუმის გამგე, ნიკო ყიფშიაშვილი, მნე და სამი თეთრ ხალათიანი ქალი (სამივე თამარა).

— მოქალაქე ყიფშიაშვილო! — მივმართე გამგეს, — თქვენ უნდა იცოდეთ, რომ მთავარი ექიმის ბაირონის აზრით, მე სისუქნე არ მომიხდება.

თქვენ ეს იცით, მაგრამ მაინც არ მეშვებით და დღეში ათჯერ მაჭმევთ; რას ნიშნავს ეს? — ვყიროდი მე.

— რა ვქნა მოქალაქე გადარეულო, გინდათ თუ არა, უნდა ჭამოთ: ასეთია აქაური წესი.

— არ შემიძლია, ამდენის ჭამა, გაიგეთ.

ვლრიალებდი. ამ დროს კარი გაიღო და გამოჩნდა „ლაქიროვანი" ტუფლებში მთავარი ექიმი ბაირონი. მან მაშინვე გაიგო რაში იყო საქმე და მარცხენა ყურში ჩამჩურჩულა: „გამგე მართალია, შენს ულუფას ხომ არ გადაყრის. ჭამე, არა უშავს..; ხომ გაგიგონია: რასაც შესჭამ ის შეგრჩებაო"... მე დავმშვიდდი.

3 აგვისტო. ხვალ ტარტაროზს ველი. პოლიტიკურ საკითხებზე მექნება ბაასი. „გახურებული" ნარდის თამაშია სანატორიუმში. ნარდის ჩემპიონობას ჩემულობს ექიმი გაბუნიძე, რომელსაც შეუძლია 24 საათი ითამაშოს, ათ ხელში ერთ ხელს იგებს, „მალადეც გრიშა"-ს ეძახიან მას.

4 აგვისტო. ტარტაროზს სადგურზე დავხვდი. გადავეხვიეთ ერთმანეთს. ბორჯომი დააფასეა. მეც თან ვახდი. საუცხოვო შთაბეჭდილებებით დაბრუნდა ტფილისში. ომის შესახებ გვქონდა ბაასი. ტარტაროზის აზრი გარკვეულია: იმპერიალისტური სახელმწიფოები ომს გვიმზადებენ. სულ ერთია: ომი იქნება — დაილუპებიან, არ იქნება — მაინც დაილუპებიან. ასეთია მისი აზრი.

თუ როდის უნდა იქნეს ომი, ამის შესახებაც ის გარკვეულათ ამბობს: შეიძლება ამ წელში, შეიძლება გაისათ, შეიძლება ისიც რომ ომი ვერ მოასწროონ.

5 – 18 აგვისტო. 13 დღეა რაც უგუნებოთ ვართ. მიზეზი ორია: ერთი ის რომ ცხრამეტი ფუთი გავხდი და ძლივს დავიარები. ასე მგონია ნიადაგი ნაწვიმარი იყოს და ტალახიანი, ისე ვეფლები მიწაში. მეორე მიზეზი ის არის, როგორც ბაირონი ამბობს, რომ მე ზედმეტი მთვარის აბაზანა მიმიღია. მაგრამ, რაც უნდა მომივიდეს, ხვალ უნდა ავდგე და ტუჩკავშირის ყრილობას დავესწრო. მე დელეგატი ვარ მეორე სანატორიუმიდან.

19 აგვისტო. დღეს საღამოს, 7 საათზე, ბორჯომის ბაღში გაიხსნა სრულიად ბორჯომსა და მის რაიონების ტუჩკავშირის წევრთა საერთო ყრილობა, რომელსაც დაესწრენ დელეგატები ყველა სანატორიუმებიდან, დასასვენებელ და კერძო სახლებიდან და ლიკანიდან. სულ დაესწრო 1000 დელეგატი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ექიმი ბაირონი. მოხსენება ტუჩკავშირის მუშაობის შესახებ გააკეთა კავშირის თავმჯდომარემ კოლამ, მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ტუჩკავშირის მუშაობა წრეულს თავის სიმაღლეზე დგას. ადგილკომები თითქმის ყველა სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში ყოფილა დაარსებული, კავშირს ჰყოლია 5000 წევრამდე. კავშირის მუშაობა მოისუსტებდა მხოლოდ ლიკანში, საცა მთავრობის წევრები და პასუხისმგებელი მუშაკები არიან. ეს სამწუხარო მოვლენა იმით აიხსნება,

რომ იქ თურმე ზოგიერთი პასუხისმგებელი პირები ამ კავშირის წინააღმდეგ „უპასუხსმგებლო“ აგიტაციას ეწეოდენ. ყრილობა დაიხურა ღამის 2 საათზე. ორკესტრმა შეასრულა სიმფონია: „ტუჩ; ტუჩ“...

29 აგვისტო. ბორჯომიდან ტფილისში დავბრუნდი. თავს კარგათ ვგრძნობ, მოვიმატე 14 ფუთი, 39 გირვანქა-

ერთი რამ მაფიქრებს: მექნება თუ არა ნება ტრამვაიში ჯდომისა.

ახალი ბუხგალტერია

ამხანაგო გადარეულო!

ვიჩქარი გაცნობო, რომ ოზურგეთის თემში ერთმა მოქალაქემ ვინმე თედორემ (გვარი ვერ გავარჩიეთ) გამოიგონა ახალი სისტემის ბუხგალტერია, რომელიც უსათუოდ კონკურენციას გაუწევს იტალიის ორმაგ ბუხგალტერიას. გამომგონებელს თავის ბუხგალტერიისათვის დაურქმევია **ჩასანსლის** ბუხგალტერია. თუ როგორ იოლი შესათვისებელი არის ეს ჩასანსვლის ბუხგალტერია, ამაში თვითონ დარწმუნდებით, როცა გადაიკითხავთ ამასთანავე წარმოდგენილ დავთარს კოოპერატივის „ჩვენი კავშირისა“, რომლის გამგე ყოფილა თვით გამომგონი.

თავი და თავი ღირსება ახალი სისტემის ბუხგალტერიისა იმაში მდგომარეობს, რომ დავთარში სრულიადაც არ იწერება არც საქონლის რაოდენობა, არც მისი ღირებულება, არც ის თუ რამდენია შემოსავალი სალაროში და რამდენია გასავალი.

მიუხედავათ ამისა ამ ახალი ბუხგალტერიით სრული სურათი იქნება საწარმოვო დაწესებულებების მოგება-წაგებისა. ამიტომ უმორჩილესათ გთხოვთ, ამხ. გადა-

რეულო ეს სასიხარულო ამბავი, რომელსაც დიდი სახელმწიფო ებრივი მნიშვნელობა აქვს, აცნობოთ უმაღლეს მთავრობას, რათა მოქალაქე თედორე ღირსეულათ და აჯილდოვოს. მე მგონია საკმაო იქნება, გამოუგზავნოს მას 100 მილიარდი მანეთი (საქონლის კურსით). სხვათაშორის, ეს ცნობა დეპეშით ვაცნობეთ საქართველოს უმაღლეს სახალხო სამეურნეო საბჭოს თავმჯდომარეს (ვვარი ვერ გავარჩიეთ).

მეგობრული სალამით **ფხუ.**

დ ა ვ თ ა რ ი

წერილი მაროსაგან თედორეს

შემოსავალი. ვაი „ჩვენო კავშირო“
ცუდი გიჩანს შენ პირი,
მე და ჩემმა თედორემ
გამოგითხარეთ ძირი.
თედო ჩემო, ცოტ-ცოტა
ვსანსლოთ „ჩვენი კავშირი“,
თორემ ვინმემ არ შოგვდოს
ცუდი რამე შაირი.

წერილი თედორესაგან მაროს

გასავალი. ჩემო ტურფა მაროჯან,
რა ხუმარა რამ ხარო,
შენ ოლონდაც თედორეს

ეტრფე არ გააჯავრო!
მე მზათა ვარ „კავშირი“
ვანაცვალო შენს თავსა,
საქონელი წაიღე,
ნულარ მკითხავ მის ფასსა.
ჯერჯერობით წაიღე
მილიონი ოცია,
მარიობას რომ იხდი,
ამით მომილოცია.

წერილი მაროსაგან თედორეს

შემოსავალი. თედო ჩემო იმედო
და ამ ქვეყნის მშვენებავ,
მსურს კვლავ რომ გაგიბედო,
დახლში გნახო მაქვს ნება?
გენაცვალე ბლანჟეში,
შენი ხერხის ჭირიმე,
შენი ვარ და ვიქნები,
ოღონდ ჯიბე იმძიმე.

თათბირი თედორეს ლადოს და დათოს
თედორე.

გასავალი. ძმებო, ამხანაგებო,
იცით მარო რომ მიყვარს,
თქვენ ჩემი ხართ ნოქრები
გამიბედავთ განა უარს?
უნდა ცოტა დავძურწო

„ჩვენი კავშირის“ კასას,
მაროს ჩულქებს უყიდი
და შეუკერავ კაბას.

ლ ა დ ო:

შემოსავალი. ჩვენც თუ რამე გვერგება,
მაშინ ხმას ჩავიკმინდავთ,
თუ არა და მაშინ კი...
ჩვენთან საქმე ნუ გინდათ.

დ ა თ ო:

შენ თუ მაროს ეტრფები,
სატრფოები ჩვენცა გვყავს,
შენც, სსსუ, ჩვენც სსსუ და ყველამ
ხელი შეუყოთ კასას.

თ ე დ ო რ ე:

გასავალი. ძმებო, ამხანაგებო,
გაუმარჯოს ჩვენს საქმეს,
ჩვენ ვსთესთ, ჩვენვე მოვიმკათ
თვით გავიყოფთ მონაგებს.

ბალანსი წლის თავზე

შემოსავალი. თედორე.
გასავალი. მაროო.
თედორე.
ლადო.
დათო.

ი ო ლ ა

(პოემიდან „კოჯორი“)

პროლეტმწერლებმა
განვიზრახეთ
კოჯორის ნახვა
და კვირა დილით
მივქროლავდით
ავტომობილით.
„ბავშთა სოფელის“
ნახვა იყო
ჩვენი განზრახვა
და არა ფუჭათ
დროს ტარება,
ქეიფი ლვინით).
გზაში წინ და წინ
ვიხარებდით
კოჯორის ნახვით
მე და ალიოს
„ნაჩხოზობა“
მოგვანდეს ერთხმათ:

თან „ბიუჯეტი“
შეგვიდგინეს
ექვსი მანეთით,
რომ იქ სადილი
დაგვჯდომოდა
თითო მანეთათ.
მომჭირნეობა
მე ასეთი
არ მწამდა ძათი,
მაგრამ ფიცავდენ
პროლეტმწერლის
ნამუს და სინდისს
და მეც დავთანხმდი,
როცა მომცეს
ხუთი მანეთი
და გამომტყუეს
სიტყვა, რომ მათ
ვაჭმევდი სადილს.
და მეც ვფიქრობდი:
სასადილო
იქნება ალბათ
და ექვსისათვის
საკმაოა
ამდენი თანხა...
მაგრამ იმედი
არ გამართლდა

და დავრჩი სახტათ,
როცა კოჯორში
სასადილოს
არ იქნა ნახვა
—სადილს ინებებთ?—
შეგვეკითხა
ერთი უცნობი.
—დიახ. ძმობილო!—
ერთხმათ იყო
პასუხი ექვსის.
—მობრძანდით ჩემთან,
იოსკა ვარ,
ყველას ნაცნობი,
ზახარ ზახარიჩს
მე ვასწავლე
გარეცხვა თეფშის;
წვადებს შეგიწვავთ,
ჯახურ ღვინოს
დაგალევინებთ,
გავაშლევინებ
მოლზე სუფრას
აქვე ეზოში.
ჩემთან სტუმრობას,
ვა, თქვენგანი
ვინ დაიწუნებს
და ჩემზე უკეთ

პატივს ვინ გცემთ
დღევანდელ დროში?!
ეხლა კი მივხვდი—
ჩემს ჯიბეს თუ
რა მოელოდა,
გვიანლა იყო
„თითზე კბენა“
„სიტყვის პატრონის“...
სუფრა გაშალეს
და წვადები
ცეცხლზე იწოდა...
მოჰქონდათ: ღვინო,
წვანილები—
და პური თორნის.
მადა გაგვეხსნა
ჩვენ ისეთი,
როგორც არასდროს
პეტრეს „დიეტა“
დაავიწყა
წვადის დანახვამ.
ვალიკო კახურს
დაეწაფა
„ყლუნწავდა“ ღვინოს,
დავითს ჭამაში
ვერ გაუსწრო
ველარც სულაყამ.

როცა სუფრაზე
ძვლები დარჩა
და ნამცეცები,—
ჩვენ მოვითხოვეთ
ანგარიში
დანახარჯისა,
იოსკა მარდათ
შეტრიალდა,
ასწია მხრები
და „მიპარუსკა“:
პოუალიუისტა,
სჩოტ ბუდეტ სიჩას!
—აბა, ბიჭებო
„ჩამოყაჭეთ“
კიდევ ფულები;
ექვსი მანეთის
მარტო პეტრემ
„ჩასანსლა“ ალბათ...
მაგრამ არავის
არ ესმოდა
ჩემი სიტყვები,—
ავტოში იჯდენ
და მესმოდა:
—ჩქარა, მივდივართ!
ამ დროს იოსკამ
ანგარიში

გამომიწოდა
და ზედ ეწერა:
„ვსიგო ბუდიტ
დვადცატ ტრი რუბლი
შევხედე, გულში
„შეუკურთხე“,
მივეც რაც მქონდა,
(თუ დამრჩენოდეს
ერთი გროში
წამიწყდეს სული“),
ანგარიში თან
წამოვიღე,
მაქვს შენახული,
რომ აწერია
მეორე გვერდზე:
არ მოგაკლდებათ
კოჯორში ცნობილ
იოსკასაგან
ლვინო კახური.
ადრესი: ზემო
გზატკეცილი,
იქ მე მიკითხავთ“,
და ეს წარწერა
რუსულათაც
არის თარგმნილი:
И в Коджорах не уменьшу

Кахетинското
Вина „Еська“
ოსკა მართლა
კაცი არის
ისე მოქნილი,
რომ ცნობილ ზახარ
ზახარიჩსაც
აცლიდა „სიქას“.
ასე დასრულდა
ექსკურსია
ჩვენი კოჯორში,
და მე არ ვიცი
ანგარიში
ვინ გამინალდოს?
პროლეტმწერლებმა?
მათ რა აქვთ?
ერთმა ამ ორში:
ან ს. თ-იამ, ავტო
რომ გვათხოვა,
ან მოვთხოვ შუშკოპს,
ს. თ—იას მართლა
შადლობის მეტს
რას ვემართლებით!
(ავტომობილი
ეგებ სადმე
კიდევ დაგვჭირდეს).

მუშკოპს კი უნდა
მოვსცხო ჩემი
საყვედურები,
რათა კოჯორში
სასადილო
მალე გაიხსნეს.

რკინისგზელის სიყვარული

შენსკენ მოვქრიავარ
ვით ორთქლმავალი,
და ვულს—რონდას
წვავს ცეცხლის ალი.
ჩემი სულია
მატარებელი,—
შენ კი მგზავრი ხარ,
ბარათ მტოლველი
მატარებელში
ჩვენა ვართ ორი:
შენ, მგზავრი ქალი,
მე—კონდუქტორი...
ო, რა ტურფა ხარ,
რა მშვენიერი,
შენს მკერდს აჭშვენებს
ორი ბუფერი.
შენი თვალები
მფრქვევია ცეცხლის,
ვით სემაფორი

ბნელში შუქს რომ ცრის.
მიყვარხარ, ტურფავ,
გული შენთვის ძგერს
ვით წყლისზე გააქვს
ტიკ-ტიკ-ტიკ-თითებს...

„თვითკრიტიკა“

(ლილინი უდარდელისა)

იკრიტიკეთ, აკრიტიკეთ,
მერე მე რა? მე არ მცხელა,
საკანტროლო კომისიამ
თავზე თმები გამითხელა,
მაგრამ საქმეს „ვაჭახრაკებ“
შეუმჩნევლათ, ნელა-ნელა
და რა ვქნა, თუ ფულთ სავსე
სალაროსი მიყვარს „წველა“?
აკრიტიკეთ, იკრიტიკეთ,
მე არ „მცხელა“, მე რა მერე,
ბუხგალტერო, საქეიფოთ
ავანსები გამოსწერე!
დღეს „არტოში“ ქალი მიმყავს
თვალტანადი და „მზისთვალა“
ჩემი მმაჩი „არტო“ არის,
მსურს იქ „დავიწერო ჯვარი“.
აკრიტიკეთ, იკრიტიკეთ...
მერე მე რა? მერე მე რა?

მე ჩუმათ ვარ... მან ამხილა,
და იმან ის გადიმტერა!..
ბევრს ამბობენ, ბევრი ითქვა,
ბევრი რამე დაიწერა.
ბევრს კრიტიკა ასე ესმის
ბევრმა ისე დაიჯერა!
იკრიტიკეთ, აკრიტიკეთ...
მერე რა მე? მერე რა მე?
„ხელი ხელსა, ორივ—პირსა“
შენც იამე, მეც მაამე!..
საქმე თუ ქნა „საკრიტიკო“,
გეყოლები მე მოწამეთ.
თუ დამჭირდი, შენც მზათ იყავ,
მეგობრობა ძმავ, იწამე!..
აკრიტიკეთ, იკრიტიკეთ,
მერე მე რა? მე არ „მცხელა“!..
მე ჩემს საქმეს „ვაჭახრაკებ“
შეუჩნევლათ, ნელა-ნელა!..

სიტყვა და საქმე

ზოგიერთებს

ვინ არ მიცნობს „თანამგზავრსა“
და კაცს „უპარტიოს“,
წინათ ვიყავ და ეხლაც ვარ
კაცი „საპატიო“!
ყველამ იცის და ვატარებ
სახელს „თანამგზავრის“,
მაგრამ გულში ღვივის ცეცხლი
ზურის, სევდის, ჯავრის...
ვეფიცები, რომ ერთი გვაქვს
ბრძოლის გზა და ხიდე,
გული კი სხვას მეუბნება:
„ფრთხილათ, დაერიდე!“.
რომ წითელი ნიღაბი მაქვს,
რა წამხდარა, განა?
(ქარს გავატან, თუ რამ გუშინ
ქარმა მომიტანა!..).
დღეს მჯერა მე ეს თქმულება;
„ხერხი ჯობს ღონესო!..

თუ რომ კაცი ჭირში ვარგა,
რას არ იღონებსო!..
თქვენთან ვივლი „თანამგზავრი“,
ვივლი, სანამ მინდა,
თუ „ხელს მაძლევს“ და „ხიფათის“
შიში წინ არ მიდგას!
ხან კი უკან დავიხევი,
გადაუხვევ გზასა,
არაფერში მე არ გავცვლი
ქვეყნად თავის თავსა!

გოგია და ივანიკა

(გურული სცენა)

გოგია—გამარჯობა შენი ივანიკა.

ივანიკა—გოგიას გაუმარჯოს, რა გიშავს ჩემო ძამია რა, გამარჯვებულიც თქვენა ხართ და ყველაფერი.

გოგია—ცოტა არ იყოს და თუ უკაცრავად არ ვიქნები კაი გუნებაზე კი არ დაგაყენებდა ბალშენიკების გამარჯვება მარა რას იზამთ ბიძია. ახი კია შენზე, ახი ჩემო ივანიკა, ბიჭო და ჩემი ხნის კაცს მამა ჩემის სული ნუ წამიწყდება სიაბდლესაც კი დაუჯერებდენ ძველ დროში და შენ კი დაკაჭრულ სიმართლეს გეუბნებოდი და ისიც არ დაგიჯერებია. ათასჯერ კი მირჩევია შენთვის ივანიკა ეშმაკს გადააფურთხე, შენს ტყავში დაეტიე, დეეგდე შენს ჯარგვალში და ნუ აპროწიალებულხარ მაშენიკებს მეთქინ, მარა შენ ჩემო ძამია, ჩემს რჩევას კი არა მამა შენი რომ გაცოცხლდეს იმას არ დაუჯერებ, რავა დეიჯერეთ მაი თქვენ აბდლებო, თქვენა, რომ მაშენიკები გააკეთებდენ რამეს მუშა ხალხისათვის? რომ გადმოაგდებდი ბიძია მაგ ორ არშინიან ენას ნალეკვარ ძაღლსავით და წარა-მარა არაკუნებდი, ასე დაგეძართებოდა არ იცოდი? ყველა ყველაა მარა შენ ვისი ძეცხრე გოჭი იყავი რომ აეპროწიალე მაშენიკებს და დაზდევდი კუდში;

ასეა ბიძია ვერც ნოე ჯორდანია, ვერც ლიდ ჯორჯმა ვერც კრემანსიამ, ვერც ინგლიჩანმა, ვერც ფრანცუზმა და ვერც იი რაღაც უჩრედიტელნი საბრანიე რომ გქონდათ, ვერ გიშველათ ძამია და დაგემართად საჯაყი საქმე. შემოვიდა თუ არა ბალშენიკები ვენაცვალე იმათ ყაყრანტოში, საკადრისათ დაგცოცხათ მამა ჩემის სული ნუ წამიწყდება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ ერთი მითხარი შენი მარიკელაი ნუ მოგიკვდება უჩრედიტელნი საბრანიე რომ გქონდათ თუ ღმერთი გრწამს გაგიკეთა რამე? თავი რომ წამჭამეთ ბიჭო უჩრედიტელნი, უჩრედიტელნი გვინდაო იი უჩრედიტელნიც ხომ მოგეცით მარა ერთი მითხარი გააკეთა რამე? ვაი ისე გააკეთა ნოეიე რამიშვილმა თავის საქმე, ჩვენთვის რომ ვინმემ რამე გააკეთა, დაჯდებოდენ თურმე უჩრედიტელნიაში და დილიდან—საღამომდის, საღამოდან—დილამდის რეჩობდენ და რჩეობდენ. როცა მეიღლებოდენ თურმე დაესეოდენ ერთმანეთს და გლეჯდენ და წეკვდენ, წეკვდენ და გლეჯდენ მაშენიკები თებერვალისტებს, ნაცრიან დემოკრატები მაშენიკებს და იყო თურმე ერთი ალიაქოთი, როცა მაშენიკები შეატყობდენ გლახათ ქონდათ საქმე გამოუშვებდენ თურმე მოჭიდავე ესებუასავით ბენია ჩხიკვიშვილს და ბენიაც თურმე დაეტაკებოდა თებერვალისტებს და ზოგს თვალებს ამოთხრიდა და ზოგს ზურგს დაუზელდა, ამასთანა იყო ძამია თურმე იი თქვენი უჩრედიტელნი საბრანიე. ისე რავა გამოჩერჩეტდით თქვენ უბედურებო, რომ მაი ვერ მიხვდით, უჩრედიტელნი საბ-

რანიე რომ კაი ყოფილიყო, რავა რუსებს აწყენდა თუ რავა გონია. რუსებმა ჩვენზე უფრო იციან ძამია რაია კაი და რაია ავი. უჩრედიტელნიას თუ გინდა თავი დავანებოთ, მაგრამ ი ვილაც კოსტაიე ტუტუცია რათ გინდოდათ შენი ბალანაი ნუ მოგიკვდება. ბიჭო თქვენზე უფრო ტუტუცები კიდევ იყო ვინმე ქვეყანაზე?..

ივანიკა. კაი თუ ღმერთი გრწამთ ჩემო გოგია კაი, ჩემი ჯავრი მეყოფა და შენ კიდევ ხანჭს ნულარ მიარ. ახლა კი მივხდი ვინ ყოფილარიან მაშენიკები, მარა ახლა რაღა დროისაა. მართალი ხარ ჩემო გოგია მართალი. რაც „მოგივა დავითავო, ყველა შენი თავითავაო" რა ჩვენი საქმე იყო მაშენიკობა მარა რა ვიცოდი თუ ასეთი ბლურტი ხალხი იყო ი მაშენიკები. მეჩიჩინებოდენ—ბალშენიკები ავარები არიან, ბალშენიკები მიწებს წაგართმევენ ოჯახს დაგიქცევენ, ქართულად არ დაგალაპარაკებენ, ნამუსს შეგირცხვენენ და ვინ იცის კიდევ რას არ გვეუბნებოდენ და მეც ქი გავბრიყვდი კაკალი კაცი ჩემო ძამია და ქე ჩავეწერე მაშენიკების პარტიაში, ახლა კი მივხვდი სიმართლე მარა... ახლა რაღა დროისაა.

გოგია. ახლა ხომ მიხვდი მაინც ჩემო ივანიკა, ვინ ყოფილარიან ი მაშენიკები.

ივანიკა—დედავ, მოვკვდი კაცი, რავა, რავა არ მივხვდი მთლად ისე გამობჟუტურებული კი არ გახლავარ შენ რომ გგონია.

გოგია. მაშ, ივანიკა გაუმარჯოს ბალშენიკებს.

ივანიკა. გაუმარჯოს ჩემო გოგია, გაუმარჯოს!

ფასი 30 კაპ.

მზადდება გადარეულის

„დათვის ტყაოსანი“